სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 12

2012 წლის 04 აპრილი

ქ. თბილისი

მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის - "ლეონარდო და ვინჩი" გამოცხადებისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ

„ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის №98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ", „ე" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2012 წლის 27 მარტის №08 სხდომის ოქმის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი" 2012 წლის 4 აპრილს.
2. დამტკიცდეს მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი" პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს გამოგონების აღწერილობის ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

5. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს თ. გორგოძეს ბრძანების საჯაროდ გაცნობისათვის განთავსება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
6. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამრთლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური